

შპს „ნოვა ჰოლდინგ“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8

შპს „ნოვა ჰოლდინგ“


სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
შემოსავალი	5	7,594,790	2,727,835
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(7,363,418)	(1,748,993)
საერთო მოგება		231,372	978,842
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (2021: ადრე წარმოდგენილი 163,874 ლარი)	7	(180,220)	(154,266)
საოპერაციო მოგება/ზარალი (2021: ადრე წარმოდგენილი 814,968 ლარი)		7,189,157	824,576
არასაოპერაციო შემოსავლები (2021: ადრე წარმოდგენილი 16,300 ლარი)	8	10	6,692
არასაოპერაციო დანახარჯები	9	(63)	(22,554)
ფინანსური შემოსავალი	10	238,362	81,803
ფინანსური ხარჯი	11	(269,017)	(892,097)
საკუროსო სხვაობის ეფექტი	12	909,848	688,410
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		930,292	686,830
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		930,292	686,830

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 14 სექტემბერი შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

 არჩილ კოჩაძე

შპს „ნოვა ჰოლდინგ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები (2021: ადრე წარმოდგენილი 7,408,480 ლარი)

შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
13	493,086	270,475

არამატერიალური აქტივები

14	5,801	7,311
----	-------	-------

სულ გრძელვადიანი აქტივები (2021: ადრე წარმოდგენილი 7,415,791 ლარი)

498,887	277,786
----------------	----------------

მიმდინარე აქტივები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები (2021: ადრე წარმოდგენილი 2,250,591 ლარი)

15	1,906,930	9,388,595
----	-----------	-----------

სავაჭრო მოთხოვნები

16	8,961,705	2,150,398
----	-----------	-----------

სხვა აქტივები (2021: ადრე წარმოდგენილი 2,897,001 ლარი)

17	1,025,627	874,294
----	-----------	---------

სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები (2021: ადრე წარმოდგენილი 1,338,230 ლარი)

18	2,584,104	3,360,937
----	-----------	-----------

საგადასახადო აქტივი

	-	-
--	---	---

ფულადი სახსრები და ექვივალენტები

19	49	53,837
----	----	--------

სულ მიმდინარე აქტივები (2021: ადრე წარმოდგენილი 8,690,056 ლარი)

14,478,415	15,828,061
-------------------	-------------------

სულ აქტივები

14,977,302	16,105,847
-------------------	-------------------

საკუთარი კაპიტალი

20	22,300	22,300
----	--------	--------

გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

21	3,918,594	2,988,302
----	-----------	-----------

სულ კაპიტალი

3,940,894	3,010,602
------------------	------------------

ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (2021: ადრე წარმოდგენილი 4,784,177 ლარი)

22	4,324,477	4,970,518
----	-----------	-----------

მიღებული ავანსები

23	1,089,865	1,257,329
----	-----------	-----------


მოკლევადიანი სესხი და პროცენტი (2021: ადრე წარმოდგენილი 339,531 ლარი)

24	164,845	153,189
----	---------	---------

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	25	5,209,805	6,384,742
საგადასახადო ვალდებულება	26	247,390	329,467
სულ ვალდებულებები		11,036,408	13,095,245
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,977,302	16,105,847

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 14 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



არჩილ კოჩაძე

შპს „ნოვა ჰოლდინგ“-ის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ლარი)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	22,300	2,301,472	0	2,323,772
წლის მთლიანი სრული მოგება		686,830		686,830
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	22,300	2,988,302	0	3,010,602
წლის მთლიანი სრული მოგება		930,292		930,292
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	22,300	3,918,594	0	3,940,894

შპს „ნოვა ჰოლდინგ“-ის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის
(ლარი)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება დაბეგვრამდე	930 292	686 830
ცვეთა და ამორტიზაცია	53 522	38 324
ფინანსური დანახარჯები (2021: ადრე წარმოდგენილი 0 ლარი)	269 017	892 097
საინვესტიციო შემოსავალი (2021: ადრე წარმოდგენილი 0 ლარი)	(238 362)	(81 803)
ზარალი/(მოგება) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	909 848	688 410
შემცირება/ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობაში	7 481 665	1 146 268
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში (2021: ადრე წარმოდგენილი 3,886,890 ლარი)	(6 962 640)	5 003 411
შემცირება/ზრდა გადახდილ ავანსებში (2021: ადრე წარმოდგენილი (1,131,547) ლარი)	776 833	(2 248 069)
შემცირება/ზრდა საგადასახადო აქტივებში	0	0
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში (2021: ადრე წარმოდგენილი (256,210) ლარი)	(646 015)	(255 771)
შემცირება/ზრდა მიღებულ ავანსებში	(167 464)	(596 251)
შემცირება/ზრდა გადასახდელ გადასახადებში	(82 077)	(71 567)
შემცირება/ზრდა გადავადებულ შემოსავალში	0	0
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან (2021: ადრე წარმოდგენილი 4,534,280 ლარი)	2 324 619	5 345 013
მოგების გადასახადი	0	0
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან (2021: ადრე წარმოდგენილი 4,534,280 ლარი)	2 324 619	5 345 013
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (2021: ადრე წარმოდგენილი 0 ლარი)	238 362	81 803
შემცირება/ზრდა ძირითად საშუალებებში	(276 133)	(1 509)
შემცირება/ზრდა არამატერიალურ აქტივებში	1 510	1 510
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	(36 261)	81804
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი სესხი (2021: ადრე წარმოდგენილი (3,793,176) ლარი)	(1 163 281)	(3 793 616)
გადახდილი პროცენტები (2021: ადრე წარმოდგენილი 0 ლარი)	(269 017)	(892 097)
წილის რეალიზაცია		
გადახდილი დივიდენდი		
წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა ფინანსური საქმიანობიდან (2021: ადრე წარმოდგენილი (3,793,176) ლარი)	(1 432 298)	(4 685 713)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	(909 848)	(688 410)
წმინდა ფულის ზრდა	(53 788)	52 694
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში	53 837	1 143
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	49	53 837

შპს “ნოვა ჰოლდინგ”-ის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ლარი)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ნოვა ჰოლდინგ” (შემდგომში კომპანია) შექმნილია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და წარმოადგენს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 28.10.2014 წელს რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 445451822; იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ., #60-62ა, ბინა #1; ფაქტობრივი მისამართი: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N5, საზოგადოების საქმიანობის ძირითადი პროფილია საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

საანგარიშო პერიოდში კომპანიამ განახორციელა საცხოვრებელი ბინების რეალიზაცია, სარემონტო მომსახურება და ასევე მოახდინა მიწის ნაკვეთის (3497 მ²) რეალიზაცია.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის კომპანიის დამფუძნებლები არიან:

მაქსატ კულჩაროვ, A0052424, AS00016574 (თურქმენეთი) - 36%

და

ზაურ გაბაიძე, (პ/ნ 61006009012) (საქართველო) - 64%.

შენიშვნა 2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში მსს ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში, როგორც მე-31 შენიშვნაშია მოცემული.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის პირველადი გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად, რომელიც მოქმედია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ფუნქციურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("ლარი").

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2,7020	2,8844
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3,0976	3,5040

ძირითადი საშუალებები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება ისტორიული ღირებულებით (თვითღირებულებით), რომელიც მოიცავს აქტივების შეძენასთან და ექსპლუატაციაში გადაცემასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ექსპლუატაციაში გადაცემის შემდგომი ხარჯებიდან მისი ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას და ამასთან შესაძლებელია მისი ღირებულების რეალურად შეფასება, აღირიცხება ცალკე აქტივად ან ემატება უკვე მოქმედი აქტივის ღირებულებას.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია ცვეთის წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები გაანგარიშებულია ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადებიდან გამომდინარე.

ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

	ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
I	შენობები	20-50
II	კომპიუტერული ტექნიკა, ოფისის აღჭურვილობა და საწყობის ინვენტარი	5-10

III	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10
IV	სატრანსპორტო საშუალებები	5-10

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება. საქართველოში მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან

დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო თანხით.

თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

წმინდა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით.

ამიტომ „კომპანია“ ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და ამ მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისაგან (ტრანსპორტირება და დასაწყობება). მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და საერთოდ იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების (გამოყენებულის და ნაშთად არსებულის) ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არამწარმოებლურ ფინანსურ აქტივს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციების დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა და გაცემასთან. შემდეგ კი აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც მომწოდებლების მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით შემცირებული ტრანზაქციის ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

კომპანია მიღებულ სესხებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება. ამგვარი

ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაფაროს ვალდებულება ერთდოულად.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივი, რომელიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და სავაჭრო მოთხოვნებისგან (დებიტორული დავალიანება).

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით, საექვო და უიმედო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით.

ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებულ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს.

კაპიტალი

კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება ფასდათმობები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საზოგადოების მიერ შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

საზოგადოების შემოსავლები მოიცავს:

კომპანიის მიერ აშენებული და საკუთრებაში არსებული ფართის რეალიზაციით მიღებული საოპერაციო შემოსავლებს;

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებიდან მიღებული საოპერაციო შემოსავლებს;

სხვა საოპერაციო შემოსავლებს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა და ვალდებულებების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისაგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

კომპანიაში ხარჯების აღიარების კრიტერიუმები შეესაბამება ფასს მსს-ის მოთხოვნებს.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოადგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

შენიშვნა 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული საადრიცხო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით. ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები
ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. საადრიცხო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ასეთი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს (მსს) 33 განყოფილება მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის.

გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება დაუკავშირებელ მხარეებთან.

შენიშვნა 5 შემოსავალი

	2022 წ.	2021 წ.
სამშენებლო და სარემონტო მომსახურების რეალიზაცია	148390	935592
გაყიდული ბინები	229143	1595942
სხვა რეალიზაცია	7211833	
გაზის მრიცხველების რეალიზაცია	5424	4746
მობინადრეებზე გადაცემული ბინების დენის და გაზის ხარჯი		852
2018 წლის შემოსავლის კორექტირება		71364
2019 წლის შემოსავლის კორექტირება		119339
სულ	7 594 790	2 727 835

შენიშვნა 6 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2022 წ.	2021 წ.
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(7 363 418)	(1 748 993)
სულ	(7 363 418)	(1 748 993)

შენიშვნა 7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2022 წ.	2021 წ.
შრომის ანაზღაურება	(67 003)	(84 523)
საოფისე ინვენტარი		(109)
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯები	(6 945)	(2 082)
პროფესიული მომსახურება	(47 412)	(26 200)
მარკეტინგული ხარჯი		
ცვეთა და ამორტიზაცია	(53 522)	(38 324)
საკანცელარიო ხარჯი	(901)	(533)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(3 301)	(3 337)
ესტონური მოდელით მოგების გადასახადი (2021: ადრე წარმოდგენილი 0 ლარი)	(882)	9 608

სხვა საერთო ხარჯი		
საბანკო ხარჯები	(254)	(8 766)
სულ (2021: ადრე წარმოდგენილი (163,874) ლარი)	(180 220)	(154 266)

შენიშვნა 8 არასაოპერაციო შემოსავალი

	2022 წ.	2021 წ.
ბინების გაყიდვიდან ზედმეტად გადახდილი	9	8
ბინის გაზიფიკაციიდან ზედმეტად შემოსული თანხა	1	
ესტონური მოდელით მოგების გადასახადი (2021: ადრე წარმოდგენილი 9608 ლარი)		
Covid-19-თან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადში შეღავათი		1250
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		5434
სულ (2021: ადრე წარმოდგენილი 16,300 ლარი)	10	6 692

შენიშვნა 9 არასაოპერაციო დანახარჯი

	2022 წ.	2021 წ.
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(63)	(22 554)
სულ	(63)	(22 554)

შენიშვნა 10 ფინანსური შემოსავალი

	2022 წ.	2021 წ.
საპროცენტო შემოსავალი	(238 362)	81 803
სულ	(238 362)	81 803

შენიშვნა 11 ფინანსური ხარჯი

	2022 წ.	2021 წ.
საპროცენტო ხარჯები	(269 017)	(892 097)
სულ	(269 017)	(892 097)

შენიშვნა 12 საკუროს სხვაობის ეფექტი

	2022 წ.	2021 წ.
კურსთა ცვალებადობა	909 848	688 410
სულ	909 848	688 410

	შენიშვნა- ნაგებობები 2130	თბოტექნიკური და კავშირგაბმულობის მოწყობილობა 2150/2151	კომპიუტერული, ელექტრონული და სამშენებლო მოწყობილობა 20160/2161/2162/2165	ავიჯი და სხვა ინვენტარი 2170	სატრანსპორტო საშუალებები 2180/2185	სულ აქტივები
ძირითადი საშუალებები						
31/12/2020	168 761	5 713	182 092	41 243	53 754	451 564
შემოსვლა	-	-	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31/12/2021	168 761	5 713	182 092	41 243	53 754	451 564
შემოსვლა	273 393	-	-	1 229	-	274 622
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31/12/2022	442 154	5 713	182 092	42 472	53 754	726 186
დაგროვილი ცვეთა						
31/12/2020	(21 807)	(2 711)	(89 364)	(7 915)	(22 477)	(144 274)
პერიოდის ცვეთა	(8 534)	(571)	(18 209)	(4 124)	(5 375)	(36 814)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31/12/2021	(30 341)	(3 282)	(107 573)	(12 040)	(27 852)	(181 088)
პერიოდის ცვეთა	(23 641)	(571)	(18 209)	(4 215)	(5 375)	(52 012)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31/12/2022	(53 982)	(3 854)	(125 782)	(16 254)	(33 228)	(233 100)
ბალანსი 31/12/2020	146 955	3 002	92 728	33 328	31 277	307 290
ბალანსი 31/12/2021	138 420	2 431	74 519	29 203	25 902	270 476
ბალანსი 31/12/2022	388 172	1 860	56 310	26 218	20 527	493 086

შენიშვნა 14 არამატერიალური აქტივები

	31.12.2022	31.12.2021
არამატერიალური აქტივები	15100	15100

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(9 299)	(7 789)
სულ	5 801	7 311

შენიშვნა 15 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31.12.2022	31.12.2021
მიწის ნაკვეთები (2021: ადრე წარმოდგენილი 0 ლარი)		7 138 004
ნედლეული და მასალები	182 658	188 585
მზა პროდუქცია	1 592 915	1 817 296
ბინის რემონტი	131 094	244 447
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	263	263
სულ ესტონური მოდელით მოგების გადასახადი (2021: ადრე წარმოდგენილი 2,250,591 ლარი)	1 906 930	9 388 595

შენიშვნა 16 სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
სამშენებლო და სარემონტო მომსახურების მოთხოვნები	7774738	840 052
მოთხოვნები გაყიდული ბინებიდან	1185965	1 309 344
გაზიფიკაციის საფასური	1002	1 002
სულ	8 961 705	2 150 398

შენიშვნა 17 სხვა აქტივები

	31.12.2022	31.12.2021
მოთხ. ხელმძღვ. და სამეთვ. ორგ. წევრების მიმართ	228 348	228 348
გაცემული სესხების პროცენტები	796 864	645 606
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	415	340
გაცემული სესხები (2021: ადრე წარმოდგენილი 2,023,047 ლარი)		
სულ (2021: ადრე წარმოდგენილი 2,897,001 ლარი)	1 025 627	874 294

შენიშვნა 18 სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

	31.12.2022	31.12.2021
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	75 730	78 164

მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან	1 122 859	1 259 726
გაცემული სესხები (2021: ასახული იყო მე-17 შენიშვნაში)	1 385 515	2 023 047
სულ	2 584 104	3 360 937

შენიშვნა 19 ფულადი სახსრები და ექვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ვი თი ბი ბანკი USD		53 190
თი ბი სი ბანკი ლარი	49	647
სულ	49	53 837

შენიშვნა 20 საკუთარი კაპიტალი

	31.12.2022	31.12.2021
საკუთარი კაპიტალი შპს-ში	22 300	22 300
სულ	22 300	22 300

შენიშვნა 21 გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

	31.12.2022	31.12.2021
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	3 918 594	2 988 302
სულ	3 918 594	2 988 302

შენიშვნა 22 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	243 016	261 496
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები USD	72 063	82 614
გადავადებული ვალდებულება საგარანტიო	23 520	23 520
ვალდებულებები მიწის მეპატრონეების წინაშე	3 836 840	4 398 592
დასაბეგრი ფიზიკური პირები	8 930	8 930
საპენსიო ფონდი	14 399	9 024
გადასახდელი პროცენტები (2021: ასახული იყო 24-ე შენიშვნაში)	125 709	186 342

სულ	4 324 477	4 970 518
-----	-----------	-----------

შენიშვნა 23 მიღებული ავანსები

	31.12.2022	31.12.2021
მიღებული ავანსები	227 341	227 341
მიღებული ავანსები წარდობა	131 028	131 028
დღ-ით დაბეგრილი ავანსები	731 496	898 960
სულ	1 089 865	1 257 329

შენიშვნა 24 მოკლევადიანი სესხი და პროცენტი

	31.12.2022	31.12.2021
სესხის მიმდინარე წილი	107 917	107 917
გადასახდელი პროცენტები	56 928	45 273
სულ	164 845	153 189

შენიშვნა 25 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	5 209 805	6 384 742
სულ	5 209 805	6 384 742

შენიშვნა 26 საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
საგადასახადო ვალდებულებები	247 390	329 467
სულ საგადასახადო ვალდებულებები	247 390	329 467

შენიშვნა 27. პირობითი გარემოებები

პოლიტიკური გარემო და რეგულაცია

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ

ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს ხელისუფლების მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სასამართლო საქმეები

კომპანიას დასკვნის შედგენის მომენტისათვის აქვს სასამართლო დავები:

1. შპს „ნოვა ჰოლდინგ“-სა და შპს „მონოლითს“ შორის ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოში. კერძოდ, 16.05.2017 წელს სარჩელი აღძრულია შპს „მონოლითი ა“-ს მიერ, აღნიშნულის საპასუხოდ შპს „ნოვა ჰოლდინგის“ მიერ აღძრულია შეგებებული სარჩელი 13.09.2017 წელს. დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება.

შპს „მონოლითი ა“-ს სარჩელის გამო უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის დადება გამოყენებულია ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. #5-ში შპს „ნოვა ჰოლდინგის“ საკუთრებაში რიცხულ შემდეგ უძრავ ქონებებზე: 05.25.05.017.01.224; 05.25.05.017.01.224ა; 05.25.05.017.01.120 და 05.25.05.017.01.058.

პროფესიული შეფასება შესაძლო შედეგზე:

ზემოაღნიშნული დავის შესაძლო შედეგი დასრულდება შპს „ნოვა ჰოლდინგის“ სასარგებლოდ და სრულად დაკმაყოფილდება შპს „ნოვა ჰოლდინგის“ სასარჩელო მოთხოვნები, ხოლო შპს „მონოლითი ა“-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

*თუმცა გადაწყვეტილების აღსრულების თვალსაზრისით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გადაწყვეტილების აღსრულებლობას, ვინაიდან შპს „მონოლითი ა“ დღეის მდგომარეობით არის არაფუნქციონირებადი კომპანია, რაც ქმნის იმის მოლოდინს, რომ დაკისრებული თანხის ამოღებას შპს „ნოვა ჰოლდინგი“ ვერ უზრუნველყოფს.

2. შპს „ნოვა ჰოლდინგ“-სა და ქ. ბათუმის მერიას შორის ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ადმინისტრაციული სარჩელით შპს „ნოვა ჰოლდინგმა“ სასამართლოს მიმართა 01.07.2022 წელს, დავის საგანს წარმოადგენს: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალდებულება.

2023 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ნოვა ჰოლდინგის“ სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს დაევა ქ. ბათუმში დ. აღმაშენებლის ქუჩა №5-ში არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის (საკადასტრო კოდი: 05.25.05.017) შეტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 79-ე-81-ე ნაწილებით განსაზღვრულ, დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ობიექტთა ნუსხაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ქ. ბათუმის მერიამ გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

პროფესიული შეფასება შესაძლო შედეგზე:

ზემოაღნიშნული დავის შესაძლო შედეგი დასრულდება შპს „ნოვა ჰოლდინგის“ სასარგებლოდ.

3. შპს „ნოვა ჰოლდინგ“-სა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. ადმინისტრაციული სარჩელით შპს „ნოვა ჰოლდინგმა“ სასამართლოს მიმართა 07.12.2022 წელს, დავის საგანს წარმოადგენს: 2021 წლის 27 დეკემბრის საგადასახადო შემოწმების შუალედური აქტისა #3961 და მასთან დაკავშირებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

პროფესიული შეფასება შესაძლო შედეგზე:

ზემოაღნიშნული დავა დამოკიდებულია ქ. ბათუმის მერიასთან მიმდინარე ადმინისტრაციული დავის დასრულების შედეგზე, ვინაიდან მოცემულ დავაში კომპანია ასაჩივრებს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მოთხოვნას, რომელსაც დღგ-ს დარიცხვაზე არ ეთანხმება ვინაიდან მიიჩნევს, რომ დღგ-ს გადახდისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია. გამომდინარე იქიდან, რომ ქ. ბათუმის მერიასთან მიმდინარე ადმინისტრაციული დავა 1-ელ ინსტანციაში შპს „ნოვა ჰოლდინგის“ სასარგებლოდ დასრულდა, აქედან გამომდინარე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მიმდინარე დავის შესაძლო შედეგიც ასევე დასრულდება შპს „ნოვა ჰოლდინგის“ სასარგებლოდ.

გარემოს დაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად. კომპანია არ სარგებლობს სადაზღვევო მომსახურების სერვისით.

შენიშვნა 28. ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

კომპანიას 2021-2022 წლებში არ აქვს ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები, რაც უნდა აისახოს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

შენიშვნა 29. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია მსს ფასს 33 განყოფილებაში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ურთიერთადმოკიდებულება გამოხატულია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ურთიერთობით.

	გასაცემი პროცენტი	მისაღები პროცენტი	მიღებული სესხი	მომსახურების გაწევა	სესხის გაცემა	ჯამი
დამფუძნებელი		297			5000	5297
ზაურ გაბაიძე		297			5000	5297
დირექტორი	147		3000			3147
არჩილ კოჩაძე	147		3000			3147
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	11655	68613		87419	161959	329646
შპს ნოვა დეველოპმენტ	11655					11655
შპს ულტრა პლიუსი		68613		87419		156032
შპს ფეიბოქსი					161959	161959
ჯამი	11802	68910	3000	87419	166959	338090

მენეჯმენტის ხელფასი:

დირექტორი

48 278 ლარი

შენიშვნა 30. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი გარემოებები (მოვლენები)

ქალაქ ბათუმში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მოხდა არსებული კომერციული ფართის სარემონტო სამუშაოები რომელიც დღემდე წარმატებით მიმდინარეობს.

შენიშვნა 31. ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი


ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანიას პროგნოზირებად მომავალში არ გააჩნია ლიკვიდაციის ან საქმიანობის მასშტაბების არსებითად შემცირების სურვილი.

კომპანიამ წარმატებით მოახდინა თავისი პროდუქტის რეალიზება და ამჟამად ასრულებს სარემონტო სამუშაოების დაკვეთებს.

32. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2023 წლის 14 სექტემბერს.

დირექტორი

 არჩილ კოჩაძე